პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 174 (9841) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1988
II ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ ЮНОШЕСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ



საბოლოოდ შეჯამდა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების შედეგები. მომავალი ოლიმპიელების ამ ასპარეზობამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-2 და მე-3 გვერდები თამაშებში საქართველოს წარმომადგენელთა წვლილს ეძღვნება.

## ოლიმპიელები წითელ მოედანზე

**ტრადიციის** თანახმად საბჭოთა ოლიმპიელები სეულში გამგზავრების წინ წითელ მოედანზე მივიდნენ, რათა გვირგვინებით შეემკოთ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

შემდეგ, დედაქალაქის ახალგაზრდობის სასახლეში ოლიმპიელებს საზეიმო გაცილება მოუწყვეს. სპორტსმენებს მიესალმნენ სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარე მ. გრამოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ი. ზარამენსკი.

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მძლეოსანმა ი. სედიხმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ტანვარჯიშში ე. შუშუნოვამ ყველა ოლიმპიელის სახელით პირობა დადეს, რომ საბჭოთა სპორტის წარმატებათა საგანძურს ახალ გამარჯვებებს შემატებენ. გაიმართა კონცერტი მოსკოვის შემოქმედებითი ახალგაზრდობის ძალებით.

გუშინ აეროფლოტის პირველი რეისით საბჭოთა ოლიმპიელების დიდი ჯგუფი სეულს გაფრინდა.

### წელიწადი - მკითხველი

● **მომავალი**, 1992 წლის ოლიმპიადის მასპინძელმა ქალაქმა ბარსელონამ სეულში საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია გააგზავნა. ესპანელებს განზრახული აქვთ შეისწავლონ დიდ შეჯიბრებათა ჩატარების გამოცდილება და ბარსელონის თამაშებს შესაფერისი რეკლამა შეუქმნან. ოლიმპიადის სტუმრები გაეცნობიან ესპანელთა ცეკვებსა და სიმღერებს, კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, კულინარული ხელოვნების თავისებურებებს. დელეგაციის მეთაურმა მიგელ აბადმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ სეულის თამაშების დუბლირებას. მაგრამ ზოგ საინტერესო დეტალს უსათუოდ გადმოვიღებთ".

● **სეულში** გამგზავრების წინ ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე ინგლისის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, თანამეგობრობის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, 23 წლის მოჭიდავემ სტეფან კუპერმა. იგი ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდა.

● **მსოფლიოს** უძლიერესმა ჩოგბურთელმა ივან ლენდლმა მისალმებით მიმართა XXIV ოლიმპიადის მონაწილეებს. მან თქვა: „მოხარული ვარ რომ ჩოგბურთი ოლიმპიურ მოძრაობას დაუბრუნდა. მოხარული ვარ იმის გამოც, რომ სეულში მოყვარულების გვერდით პროფესიონალი ჩოგბურთელებიც გამოვლენ. მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა ფორუმი ყველასთვის უნდა იყოს გახსნილი".

● **ბახტარის** სააგენტოს ცნობით სეულის თამაშებში გამოვა ავღანეთის რესპუბლიკის სპორტსმენთა ჯგუფიც. სამხრეთ კორეაში უკვე გაემგზავრა ამ ქვეყნის მოჭიდავეთა ექვსკაციანი კოლექტივი.

● **ოლიმპიადაზე** ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი კოლექტივი კამერუნს ეყოლება. ამ ქვეყნის დელეგაციის შემადგენლობაში 14 სპორტსმენია — მძლეოსნობის, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ძალოსნობისა და კრივის წარმომადგენლები. კრივში ერთ-ერთი მედლის პრეტენდენტად ითვლება ნდონგო ებანგა, მძლეოსნობაში — აფრიკის თამაშების ჩემპიონი ებონგ სალე და ჟანა ნგო.

● **ირლანდიის** ოლიმპიურმა კომიტეტმა უკანასკნელ მომენტში ოლიმპიური დელეგაციის შემადგენლობაში ჩარიცხა 35 წლის მძლეოსანი, მსოფლიოს ექსჩემპიონი 5000 მეტრზე რბენაში იმონ კოგლენი. ირლანდიის მძლეოსნობის ვეტერანს აქტიურად უჭერდა მხარს ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა და სწორედ მისი დამსახურება გახლავთ ის, რომ მძლეოსანი სეულს გაემგზავრება.

## ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო მემორიალი გაიხსნა

**გუშინ** თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა პირველი ქართველი ოსტატი მოჭადრაკის ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვაჟთა VIII საერთაშორისო ტურნირი.

მემორიალის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ დამსწრეთ წარუდგინა შეჯიბრების მონაწილენი და მსაჯთა კოლეგია. გააცნო მემორიალის პირობები, რეგლამენტი და წილისყრა ჩაატარა. მეტოქეები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ვალენტინ ლუკოვი (ბულგარეთი) 2. სტიუარტ კონკუესტი (ინგლისი), 3. ზდენკო კოჟული (იუგოსლავია), 4. ალექსანდრე შნაპიკი (პოლონეთი), 5. იგორ ნოვიკოვი, 6. მიხეილ ტალი, 7. გენადი ზაიჩიკი, 8. ედუარდ გუფელდი, 9. ელიზბარ უბილავა, 10. ოლეგ რომანიშინი (ყველა — სსრ კავშირი), 11. სტანისლავ პრანდშტეტერი (ჩეხოსლოვაკია).

## ის ბევრის კერპი იყო

**ვიქტორ** გოგლიძე ოცდაათიანი წლების ჭადრაკის მოყვარულთა ნამდვილი კერპი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ამ არაჩვეულებრივი სიმპათიური ადამიანის კეთილი სახე. მისი ნიჭის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა შორის, ვგონებ, ცოტა არ იყო ისეთი, ვისაც ჭადრაკის ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ვიქტორ გოგლიძის მომაჯადოებელი პიროვნება იზიდავდა.

მე გვიან დავიწყე ჭადრაკის თამაში და ალბათ მეათე კლასში ვიქნებოდი, როდესაც ერთმა ამხანაგმა გოგლიძის საჭადრაკო სკოლაში მიმიყვანა. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე სახელოვან მოჭადრაკესთან შეხვედრამ. ისე ლაღად და ლამაზად მოგვითხრობდა ესპანურ დებიუტზე, რომ მე უფრო მის ხმას ვუსმენდი, სახის გამომეტყველებას უფრო ვადევნებდი თვალს, ვიდრე ჭადრაკის დაფას. ეს ის წლები იყო, რომლებმაც ბევრს დაურღვია ცხოვრების გეგმები. ვერც მე გავაგრძელე გოგლიძის გაკვეთილებზე დასწრება, მაგრამ რამდენიმე მეცადინეობამ მაინც იმდენი მომცა, რომ მოგვიანებით, პირველსავე საკვალიფიკაციო ტურნირში პირველი თანრიგი მოვიპოვე. ჩემი საჭადრაკო კარიერა არსებითად მაშინ დასრულდა და ქართულ ჭადრაკს, რა თქმა უნდა, ამით არაფერი დაუკარგავს, მაგრამ პირადად მე ამ ბრძნულმა თამაშმა ჩვენი ჭადრაკის უპირველეს რაინდს შემახვედრა და ბევრი სიხარულიც მარგუნა.

გოგლიძის სკოლას დიდხანს არ უარსებია. სამწუხაროდ, იმავე წლებში დაანება თავი ჭადრაკის თამაშს ამ შესანიშნავმა ოსტატმა.

მას შემდეგ ვიქტორ გოგლიძეს მხოლოდ ერთხელ შევხვდი. ომი ახალი დამთავრებული იყო, საქართველოს მოჭადრაკეთა პირველობა რომ მოეწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს სახელმოხვეჭილი პაულ კერესი, რომელსაც იმ დროს, რა თქმა უნდა, მეტოქეობას ვერავინ უწევდა. ერთხელ მეც დავესწარი ამ ტურნირს. ტური რომ მთავრდებოდა, დარბაზში ვიქტორ გოგლიძე შემოვიდა, თავაზიანად მომესალმა, მომიკითხა კიდეც (მესიამოვნა, რადგან არც კი მეგონა, თუ მახსოვდი), შემდეგ ჭადრაკის მაგიდას მიუჯდა და რომელიღაც ახლად დამთავრებული პარტიის გარჩევა დაიწყო. შორიახლოს იდგა კერესი, რომელიც თურმე სახით არ იცნობდა გოგლიძეს, და, როგორც გამოირკვა, ყურადღებით უსმენდა მას, მერე რომელიღაც მოჭადრაკისთვის უკითხავს, ვინ არის, ასე ღრმად რომ ერკვევა ჭადრაკში, რა შესანიშნავი მოჭადრაკე გყოლიათ ქართველებსო...

**ლეო გაბუნია,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

## კვლავ დიანა მჭედლიძე

### სერგო შალიბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი წყალში მხტომელთა საკავშირო ტურნირი



**როგორც** ვიუწყებოდით, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში მიმდინარე ამ ასპარეზობაში მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა დიანა მჭედლიძემ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა, ხოლო ბაქოელმა ოლგა ვოლჩკოვამ მეორე ადგილი დაიკავა. ამის მერე მათ კოშკიდან ხტომაშიც ძალა სცადეს და საპრიზო ადგილები კვლავ იმავე თანმიმდევრობით გაინაწილეს.

ამ სახეობაში მესამე იყო ასევე თბილისელი სპორტსმენი, საკავშირო თასის მფლობელი ანა როსტიაშვილი.

გუშინ, შეჯიბრების ბოლო დღეს, სარბიელზე გამოვიდნენ კოშკიდან მხტომელი ვაჟები. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოჩა გახარია, გიორგი შელიუგოვი, ლევან შალიბაშვილი (სამივე — თბილისი).

შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხ. „ლელოს" უახლოეს ნომერში.

**სურათზე: ანა როსტიაშვილი.**

## ხვადაგიანის მონაპოვარი ვეღარ შეინარჩუნეს

### სსრ კავშირისა და კანადის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა

**მოსკოვის** ოლიმპიურ საცურაო აუზში დამთავრდა მოცურავეთა საინტერესო შეჯიბრება, რომელიც სსრ კავშირისა და კანადის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. ამ ამხანაგურ შეხვედრაში სტუმრებმა გაიმარჯვეს — 77:74.

საინტერესოა, რომ კანადელთა გუნდი, თუ არ ჩავთვლით ოლიმპიური ნაკრების წევრებს, უძლიერესი მოცურავეებით იყო დაკომპლექტებული. რაც შეეხება საბჭოთა ნაკრებს, იგი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრებიც, რომლებმაც რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენეს.

მაგალითად, ლენინგრადელმა ე. დენდებეროვამ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიოში წლევანდელი სეზონის მეორე შედეგი აჩვენა — 2.14,94.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კარგი შედეგი აჩვენა კიშინიოველმა ი. ბაშკატოვმა — 50,95.

უნდა გამოვყოთ მსოფლიო ჩემპიონ ი. პოლიანსკის შედეგიც (56,07) 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში.

ასპარეზობაში ძალას ცდიდა თბილისელი როლანდ ხვადაგიანიც (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), რომელსაც ლევ ვეჩხაიზერი და კონსტანტინე რეშეტნიაკი ავარჯიშებს.

ხვადაგიანმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 4.01,25 აჩვენა და მესამე ადგილი დაიკავა.

როლანდი საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად ძალას ცდიდა 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაშიც. იგი პირველ ეტაპზე ცურავდა და ყველას აჯობა (1.54,11). აქ მას სულ რაღაც 0,5 წამი დააკლდა რესპუბლიკური რეკორდის გასაუმჯობესებლად. სამწუხაროდ, ხვადაგიანის პირველ ეტაპზე მონაპოვარი მისმა თანაგუნდელებმა ვეღარ შეინარჩუნეს და საბოლოოდ მეორე ადგილზე გავიდნენ — 7.37,51.

### ეძღვნება უნივერსიტეტის იუბილეს

სულ მალე აღინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით, კვირას, 11 სექტემბერს, უნივერსიტეტი ატარებს მასობრივ-ტურისტულ ლაშქრობას მარშრუტით: ბაზები — კუს ტბა — უძო — თბილისი. ლაშქრობაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. კუს ტბაზე გაიმართება სპორტულ-გამაჯანსაღებელი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

**შეკრების ადგილია ბაზები (კუს ტბისკენ მიმავალი გზის დასაწყისი) დრო 10 საათი.**

### როგორ ვემზადებით თბილისის პირველი დიდი ახალგაზრდული მარათონისთვის?

ეს ღონისძიება, როგორც ვიუწყებოდით, ჩატარდება თბილისში საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს თაოსნობით 18 სექტემბერს, სეულის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს. სტარტის ადგილია გაგარინის პარკის მიმდებარე ტერიტორია, დრო 11 საათი.
შეკრება იქვე, 10 საათიდან. გუშინ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროდან გვაცნობეს, რომ პირველ დიდ ახალგაზრდულ მარათონში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 25 ათასმა მოსწავლემ და სტუდენტმა. სურვილთან ერთად, ცხადია, მთავარია მზადება, კარგად მომზადება კი შთამბეჭდავი დღესასწაულის საწინდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინგადადგმული ნაბიჯი ქართ

1988 II ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ ЮНОШЕСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ თამაშებში საქართველ
## მედლებზე დარიცხული ქულების ჯამით V

წარმატება მიღწეულია რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების, თამაშებისათვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტის (თავმჯდომარე—
ორგანიზაციების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის სამინისტროების, სახაგრომრეწვის, სამოქალაქო ავია
ხვრის გარეშე ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგებს მიმდინარე ციკლის მომავალ კომპლექსურ ღონისძიებებში — ახალგაზრდულ საკავშირო

## ოქროს მედლები

1. გიორგი ხინჩიკაშვილი — თავ. ჭიდაობა, პროფკავშირები, გორი
2. გოჩა მაკოევი — თავ. ჭიდაობა, „შრომ. რეზერვ.", თბილისი
3. აკაკი გაბედავა — თავ. ჭიდაობა, პროფკავშირები, სამტრედია
4. მურთაზ თურქია — სამბო, პროფკავშირები, ფოთი
5. ვლადიმერ დგებუაძე — სამბო, „დინამო", სოხუმი
6. ერვანდ მარტიროსიანი — „სამბო, „დინამო", სოხუმი
7. კობა გურეშიძე — სამბო, „შრომ. რეზერვ.", ზესტაფონი
8. ჯონდო დაბრუნდაშვილი — სამბო, „შრომ. რეზერვ.", თბილისი
9. სტელა პრიახინა — ველოსპორტი (საგზატკ.), პროფკავშირები, ქობულეთი
10. ვასილი დავიდენკო — ველოსპორტი (საგზატკ.) პროფკავშირები, თბილისი
11. ვასილი დავიდენკო, (თბილისი), გარი კეხბა (რუსთავი), ვიქტორ ოვანესიანი (თბილისი), მამუკა შუბითიძე (ლაგოდეხი), ვიტალი მუშკუდიანი (ქუთაისი), ბაჩუკი ხორგუანი (ქუთაისი) — საგზატკეცილო ველორბოლა, ყველა — პროფკავშირები.
12. გიორგი კოსტოიანი — სპორტული ტანვარჯიში, „დინამო", თბილისი
13. გიორგი კირაკოზაშვილი — ძიუდო, პროფკავშირები, საგარეჯო
14. გიორგი გაჩეჩილაძე — ძიუდო, „დინამო", ზესტაფონი
15. ვეფხია ავალიანი — ძიუდო, პროფკავშირები, რუსთავი
16. დავით ხახალეიშვილი — ძიუდო, „დინამო", ქუთაისი
17. რუსუდან ხოფერია — ბატუტზე ხტომა, „შრომ. რეზერვ." თბილისი
18. მიხეილ პელევანიდისი — ბატუტზე ხტომა, „შრომ. რეზერვ.", თბილისი
19. ანა დოლონაძე, ლია ბენდიანიშვილი — ბატუტზე ხტომა, „შრომ. რეზერვ.", ორივე — თბილისი.

## ვერცხლის მედლები

1. ირმა ოვოიანი, რომან კუხალეიშვილი — აკრობატიკა — „შრომ. რეზ." (ორივე — თბილისი)
2. თამილა მორბედაძე, მანანა მორბედაძე, ნანა პატარიძე — აკრობატიკა — ასკ (სამივე — თბილისი)
3. ირაკლი ბაქრაძე („დინამო", თბილისი), ბექა ბოლქვაძე (განათლება, თბილისი); ლაშა ვაშაკიძე („დინამო", ქუთაისი), ზაზა გვარამია („დინამო", თბილისი), ვასილ კვეზერელი (განათლება, თბილისი), ნუგზარ კოკოლიშვილი („დინამო", სიღნაღი), გოდერძი კორძაძე (განათლება, ქუთაისი), მიხეილ ნიკურაძე (განათლება, სამტრედია), ზურაბ საკანდელიძე (განათლება, თბილისი), დავით უსიტაშვილი („დინამო", თბილისი), კახაბერ შენგელია („დინამო", სამტრედია), არჩილ ხელაშვილი („დინამო", თბილისი) — კალათბურთი
4. გოჩა მუშკუდიანი — კრივი — პროფკავშირები, თბილისი
5. არმენ ბურდიანცი — კრივი — „შრომ. რეზ.", თბილისი
6. რამაზ ბუზარიაშვილი — თავისუფალი ჭიდაობა — პროფკავშირები, საგარეჯო
7. გარი კეხბა — საგზატკეცილო ველორბოლა — პროფკავშირები, რუსთავი
8. სტელა პრიახინა — საგზატკეცილო ველორბოლა — პროფკავშირები, ქობულეთი
9. ჯემალ კოპალეიშვილი („დინამო", თბილისი), გავრილ პოსოხოვი („დინამო", რუსთავი-თბილისი), ბესიკ გოგიშვილი („დინამო", ქუთაისი-თბილისი), გიორგი ოდიშვილი („დინამო", თბილისი), გიორგი გონაძე („დინამო", თბილისი), ირაკლი ტატიშვილი („დინამო", თბილისი), მირიან ასათიანი („დინამო", თბილისი), დავით ბურდული („დინამო", თბილისი), პაატა ჩიტაძე („დინამო", თბილისი), ზვიად დავითიანი („დინამო", თბილისი), ნიკოლოზ მარგიევი („დინამო", თბილისი), თეიმურაზ პატარიძე („დინამო", თბილისი), ზურაბ ხაჩიძე („დინამო", რუსთავი-თბილისი) — წყალბურთი
10. ნიკოლოზ ბარამიძე — სპორტული ტანვარჯიში — „შრომ. რეზ.", თბილისი
11. მამუკა აბრამიშვილი — ძიუდო — პროფკავშირები, ახმეტა
12. ზურაბ სამუკაშვილი — ძიუდო — „დინამო", ახმეტა
13. ვასილ ომარაშვილი — ძიუდო — „დინამო", ახმეტა
14. გურანდა თედორაძე — მძლეოსნობა — „დინამო", თბილისი
15. ვლადისლავ სტეპანოვი — ცურვა — პროფკავშირები, თბილისი
16. იური შუკუროვი — წყალში ხტომა — პროფკავშირები, თბილისი
17. ანა დოლონაძე — ბატუტზე ხტომა — „შრომ. რეზ.", თბილისი
18. რუსუდან ხოფერია („შრომ. რეზ.", თბილისი), ლეილა გიგინეიშვილი (ასკ, თბილისი) — ბატუტზე ხტომა
19. მიხეილ პელივანიდისი („შრომ. რეზ.", თბილისი), ზაქარია აბრამიშვილი („შრომ. რეზ.", რუსთავი) — ბატუტზე ხტომა
20. მარინა აბაკელია — ტყვიის სროლა — „დინამო", თბილისი
21. ხოსლან კოჩიევი — ძალოსნობა — პროფკავშირები, ცხინვალი
22. ბესიკ ამაშუკელი (განათლება, თბილისი), ჯუმბერ გვაზავა (განათლება, თბილისი), ნოდარ გვასალია (განათლება, ხობი), ვალერიან გეგეშიძე („დინამო", თბილისი), ალექსანდრე გელაძე („დინამო", თბილისი), კახა კვანტალიანი („დინამო", თბილისი), რუსლან ლოკოტკოვი (განათლება, გაგრა), ვაჟა მაისურაძე („დინამო", თბილისი), იოსებ ნახუაშვილი (განათლება, თბილისი), გიორგი ნემსაძე („დინამო", თბილისი), კლიმენტი ნინუა (განათლება, თბილისი), ნიკოლოზ სირაძე (განათლება, თბილისი), ნაირბეკ თანდელოვი (განათლება, რუსთავი), თეიმურაზ ტუღუში (განათლება, ბათუმი), ვახტანგ ხვადაგიანი (განათლება, თბილისი), გურამ ხოსროშვილი („დინამო", თბილისი), ნიკოლოზ ხელაძე (განათლება, ქუთაისი) — ფეხბურთი
23. ქეთევან კახიანი („დინამო", გარდაბანი-თბილისი), სოფიკო ტერელაძე (პროფკავშირები, სამტრედია-თბილისი), სოფიკო ნიკოლაძე („დინამო", ქუთაისი-თბილისი) — ჭადრაკი.

## ბრინჯაოს მედლები

1. თამარ ბეროზაშვილი, თინათინ ვარდიძე — აკრობატიკა (ორივე — „შრომ. რეზ.", თბილისი)
2. ვილი ვართანოვი, აფანასი იანაკოვი, იოსებ თუთბერიძე, სტანისლავ პეტროვი — აკრობატიკა (ყველა — ასკ თბილისი)
3. ინგა ბერიძე (პროფკავშირები, ბათუმი), ტატიანა ბობილიოვა (პროფკავშირები, თბილისი) — ბადმინტონი
4. დავით ბელთაძე — თავისუფალი ჭიდაობა — პროფკავშირები, თბილისი
5. მერაბ ვალიევი — თავისუფალი ჭიდაობა — „შრომ. რეზ.", თბილისი
6. ედუარდ კარაპეტიანი — ველოსპორტი (ტრეკი) — „დინამო", თბილისი
7. გიორგი სოხაჩი (პროფკავშირები, თბილისი), დანიელ ოლეინიკოვი (პროფკავშირები, თბილისი), დავით ჯიოშვილი (პროფკავშირები, თბილისი), რომან პავლოვი (პროფკავშირები, თბილისი), გიორგი კოპალიანი (პროფკავშირები, ქუთაისი), სერგეი პერეპელიცა (პროფკავშირები, რუსთავი), დავით ლხინაძე (პროფკავშირები, თბილისი), იგორ სამოილენკო (პროფკავშირები, თბილისი), დავით მესხი (პროფკავშირები, თბილისი), გიორგი გელაშვილი (პროფკავშირები, თბილისი), ბერუჩა ლუხუტაშვილი (პროფკავშირები, თბილისი), გენადი კალმიკოვი (პროფკავშირები, თბილისი) — ფრენბურთი
8. ბადრი დილებაშვილი — ძიუდო (პროფკავშირები, გარდაბანი)
9. გიორგი გავარდაშვილი — ძიუდო („დინამო", ახმეტა)
10. ნინო ონაშვილი — მძლეოსნობა („დინამო", თბილისი)
11. ვლადიმერ მინაკოვი — მძლეოსნობა — პროფკავშირები, თბილისი
12. ვლადისლავ სტეპანოვი — ცურვა — პროფკავშირები, თბილისი
13. ნინო მაისურაძე — სინქრონული ცურვა — პროფკავშირები, თბილისი
14. ოლეგ ვასილჩენკო — წყალში ხტომა — პროფკავშირები, თბილისი
15. ზაქარია აბრამიშვილი — ბატუტზე ხტომა — „შრომ. რეზ.", რუსთავი
16. პაატა ფირცხალავა — მაგიდის ჩოგბურთი — პროფკავშირები, სოხუმი
17. ვლადიმერ ივანჩიკოვი — მაგიდის ჩოგბურთი — პროფკავშირები, თბილისი
18. გრიგორ ჩუბინიძე — ძალოსნობა — პროფკავშირები, საჩხერე-თბილისი
19. არჩილ ლორთქიფანიძე (ასკ თბილისი), დავით ფეიქრიშვილი (პროფკავშირები, თბილისი), ზაზა ქორიძე (პროფკავშირები, თბილისი), ლაშა ყიფიანი (პროფკავშირები, თბილისი), ბექან ჟღენტი (პროფკავშირები, ზესტაფონი) — ფარიკაობა (ხმალი).

**შენიშვნა:** მაგიდის ჩოგბურთში (წყვილთა შეხვედრები) სხვადასხვა რესპუბლიკის სპორტსმენებს მედლები (ბრინჯაო) ეთვლებათ როგორც პირადი.




**სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების წვლილი**

| | |
|---|---|
| პროფკავშირები | —312 ქულა |
| „დინამო" | —116 |
| „შრომითი რეზერვები" | —71 |
| სახალხო განათლება | —45 |
| არმიის სპორტული კლუბი | —27 |

**მონაწილეთა სპორტული კლასიფიკაცია**

| | |
|---|---|
| საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი | —1 |
| სსრ კავშირის სპორტის ოსტატი | —78 |
| სპორტის ოსტატობის კანდიდატი | —271 |
| პირველთანრიგოსანი | —186 |
| მეორეთანრიგოსანი | —26 |

**შენიშვნა:** რუკაზე მინიშნებული ქალაქისა და რაიონის ქვეშ მითითებულია მონაწილეთა რიცხვი, ფრჩხილებში კი თანმიმდევრულად ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების რაოდენობა.

I საკავშირო სპორტულ თამაშებთან შედარებით შედეგები გააუარესეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებისა და „დინამოს" წარმომადგენლებმა — II თამაშებში მოიპოვეს 8 მედლით ნაკლები.

## კოლექტივები, მე
## საბოლოო

| ადგილი | რესპუბლიკები, ქალაქები | პირადი | ოქრო |
|---|---|---|---|
| 1. | რსფსრ | 79 | 3 |
| 2. | უკრაინის სსრ | 31 | 2 |
| 3. | ბელორუსიის სსრ | 24 | 1 |
| 4. | მოსკოვი | 13 | |
| 5. | საქართველოს სსრ | 17 | |
| 6. | ლენინგრადი | 18 | |
| 7. | ყაზახეთის სსრ | 14 | |
| 8. | უზბეკეთის სსრ | 12 | |
| 9. | ლიტვის სსრ | 15 | |
| 10. | სომხეთის სსრ | 9 | — |
| 11. | მოლდავეთის სსრ | 4 | — |
| 12. | აზერბაიჯანის სსრ | 5 | |
| 13. | ლატვიის სსრ | 2 | — |
| 14. | ესტონეთის სსრ | 3 | |
| 15. | ყირგიზეთის სსრ | 1 | — |
| 16. | ტაჯიკეთის სსრ | 1 | — |
| 17. | თურქმენეთის სსრ | 1 | — |

## ვინ რამდენი მონაწ

| | |
|---|---|
| აფხაზეთი | —20 |
| აჭარა | —24 |
| სამხრეთ ოსეთი | —5 |
| **ქალაქები** | |
| თბილისი | —375 |
| ქუთაისი | —62 |
| ფოთი | —17 |
| რუსთავი | —16 |
| გორი | —3 |
| ჭიათურა | —1 |
| ზუგდიდი | —4 |
| წყალტუბო | —6 |

# ...ი სპორტის აღმავლობის გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...სპორტულმა დელეგაციამ მოპოვებული მედლებით და... ...გილი დაიკავა (I თამაშებში VII ადგილი)

...თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე), სპორტსახკომის, პროფკავშირული და კომკავშირული ...ნიზაციების ერთობლივი ძალისხმევით. ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულმა თამაშებმა წარმოაჩინა ნაკლოვანებებიც, რომელთა აღმოფ... ...მაშებში და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში. წარმატებიდან — წარმატებისკენ!

...ოგორც ხედავთ, საქართველოს სპორტულ რუკაზე ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქაა. რუკაზე ვერ ...მოხვდნენ ქალაქები ტყიბული და მარნეული, რაიონები — აბაშა, ადიგენი, ამბროლაური, ასპინძა, ...ქალაქი, ბოგდანოვკა, ბოლნისი, ვანი, გეგეჭკორი, გორი, გურჯაანი, დმანისი, დუშეთი, ზუგდიდი, ქა..., კასპი, ლენტეხი, მარნეული, მაიაკოვსკი, ონი, თერჯოლა, თეთრიწყარო, თიანეთი, ცაგერი, წალენ..., წალკა, წითელი წყარო, წულუკიძე, ჩხოროწყუ. სულ 2 ქალაქი და 29 რაიონი, რომლებსაც რეს...ლიკის ნაკრები გუნდისთვის არც ერთი სპორტსმენი არ აღუზრდიათ.




## ...დები, ქულები ...რილი

| ...ლი | ბრინჯაო | | სულ | | |
|---|---|---|---|---|---|
| გუნდური | პირადი | გუნდური | პირადი | გუნდური | მთლიანად |
| 21 | 77 | 9 | 240 | 61 | 301 |
| 19 | 47 | 12 | 118 | 54 | 172 |
| 6 | 34 | 16 | 78 | 34 | 112 |
| 5 | 28 | 8 | 61 | 20 | 81 |
| 8 | 14 | 5 | 46 | 16 | 61 |
| 2 | 16 | 7 | 45 | 13 | 58 |
| 2 | 14 | 11 | 40 | 15 | 55 |
| 3 | 13 | 2 | 40 | 7 | 47 |
| 3 | 9 | 4 | 28 | 10 | 38 |
| 1 | 9 | 1 | 32 | 2 | 34 |
| 3 | 8 | 6 | 16 | 9 | 25 |
| 2 | 6 | 1 | 19 | 4 | 23 |
| 4 | 8 | — | 14 | 4 | 18 |
| 2 | 1 | 1 | 8 | 4 | 12 |
| — | 6 | — | 7 | — | 7 |
| — | 3 | — | 6 | — | 6 |
| — | 4 | — | 6 | — | 6 |

## ვინ რამდენი ქულა მოგვიტანა

| სახეობა | მონაწილეთა რაოდენობა | დაკავებული ადგილი |
|---|---|---|
| ბატუტზე ხტომა | 8 | I |
| აკრობატიკა (I გუნდი) | 20 | II |
| კალათბურთი (ჭაბ.) | 12 | II |
| თავ. ჭიდაობა (I გუნ.) | 11 | II |
| სამბო | 12 | II |
| წყალბურთი | 13 | II |
| ძიუდო (I გუნდი) | 9 | II |
| ფეხბურთი | 17 | II |
| ჭადრაკი (გოგ.) | 3 | II |
| ფრენბურთი (ჭაბ.) | 12 | III |
| ველო (საგზატკ.) | 12 | IV |
| სინქრ. ცურვა (I გუნ.) | 6 | IV |
| ბადმინტონი | 8 | V |
| წყალში ხტომა | 10 | V |
| ხელბურთი (ჭაბ.) | 12 | V |
| ჩოგბურთი (ჭაბ.) | 5 | V |
| მხატვრული ტანვ. | 6 | VI |
| თანამ. ხუთჭიდი | 5 | VI |
| კლას. ჭიდაობა | 11 | VII |
| ფარიკაობა | 20 | VII |
| ჭადრაკი (ჭაბ.) | 5 | VII |
| მშვილდოსნობა | 8 | VIII |
| ჩოგბურთი (გოგ.) | 5 | VIII |
| კალათბურთი (გოგ.) | 12 | IX |
| ცურვა | 28 | IX |
| ტყვიის სროლა | 17 | IX |
| მაგიდის ჩოგბურთი | 10 | IX |
| ბალახის ჰოკ. (ჭაბ.) | 17 | IX |
| კრივი | 13 | X |
| სპორტ. ტანვარჯიში | 13 | X |
| ძიუდო (III გუნდი) | 7 | X |
| აფროსნობა | 7 | X |
| ფრენბურთი (გოგ.) | 12 | XI |
| აკადემ. ნიჩბ. | 30 | XI |
| ცხენოსნობა | 11 | XI |
| თავ. ჭიდ. (II გუნ.) | 11 | XII |
| ხელბურთი (გოგ.) | 12 | XII |
| სასტენდო სროლა | 6 | XII |
| ძალოსნობა | 10 | XII |
| ველო (ტრეკი) | 10 | XIII |
| ძიუდო (II გუნდი) | 9 | XIII |
| მძლეოსნობა | 46 | XIII |
| ბალახის ჰოკეი (გოგ.) | 16 | XIV |
| ნიჩბოს. (ბაიდ. კან.) | 16 | XV |
| აკრობატ. (II გუნდი) | 7 | XVII |
| ძიუდო (გოგ.) | 8 | XXII-XXIII |
| სინქ. ცურვა (II გუნ.) | 4 | — |

## ...მისცა რესპუბლიკის ნაკრებს

...ონები

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მცხეთა | —4 |
| ...ხავიხე | —1 | ორჯონიკიძე | —1 |
| ...ხმეა | —9 | საგარეჯო | —6 |
| ...ომი | —2 | სამტრედია | —7 |
| ...არბანი | —6 | საჩხერე | —2 |
| ...ოჯანონი | —4 | სიღნაღი | —1 |
| ...ზბეგი | —1 | თელავი | —1 |
| ...ველი | —1 | ხაშური | —1 |
| ...ოდეხი | —2 | ხობი | —1 |
| ...აუთი | —2 | | |
| ...ახარაძე | —2 | ცხაკაია | —2 |
| ...ესა | —1 | ჩოხატაური | —1 |

## ასაკის მიხედვით

| | | | |
|---|---|---|---|
| 1970 | წელში | დაბადებული | — 181 |
| 1971 | " | " | —202 |
| 1972 | " | " | —133 |
| 1973 | " | " | —55 |
| 1974 | " | " | —25 |
| 1975 | " | " | —13 |
| 1976 | " | " | —1 |
| 1977 | " | " | —2 |

**ჭაბუკთა II** საკავშირო სპორტულ თამაშებში მონაწილეობდა საქართველოს 562 წარმომადგენელი, აქედან 183 გოგონაა. 133 სპორტსმენი (23,7 პროცენტი) თამაშებიდან (გუნდური პირველობის ჩათვლით) დაბრუნდა მედლით. მაღალია პროგნოზის გამართლების პროცენტი — ნავარაუდევი 73 მედლის ნაცვლად მოპოვებულია 61 (83,50 პროცენტი).

**თამაშები** ჩატარდა სპორტის 35 სახეობაში.
ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში.

**I თამაშებთან** შედარებით (1985 წ.) რესპუბლიკის 17-მა ნაკრებმა გუნდმა გააუმჯობესა შედეგები. ესაა — აკრობატიკა (III-დან II-ზე), ბადმინტონი (X V), სამბო (III II), ფრენბურთი — ჭაბუკები (VI III), საგზატკეცილო ველოსპორტი (XV IV), წყალბურთი (V II), ფრენბურთი — გოგონები (XII XI), ცურვა (XII IX), ბატუტზე ხტომა (V I), ხელბურთი — ჭაბუკები (X V), ხელბურთი — გოგონები (XV XII), თანამედროვე ხუთჭიდი (IX VI), მაგიდის ჩოგბურთი (XIV IX), ფარიკაობა (XI VIII), ბალახის ჰოკეი — ჭაბუკები (X IX), ჭადრაკი — გოგონები (III II).

**რესპუბლიკის** 7 ნაკრები გუნდი დარჩა ადრინდელ ადგილზე. ესენია — კალათბურთი (ჭაბუკები, II ადგილი), თავისუფალი ჭიდაობა (II), მხატვრული ტანვარჯიში (VI), სინქრონული ცურვა (IV), წყალში ხტომა (V), ტყვიის სროლა (IX), ფეხბურთი (II).

**I თამაშებთან** შედარებით ცუდად იასპარეზეს და შედეგები გააუარესეს: კალათბურთელმა გოგონებმა (VIII, IX), მოკრივეებმა (VI, X), კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა (I, VII), ტრეკზე ველომრბოლელებმა (X, XIII), სპორტული ტანმოვარჯიშეების წარმომადგენლებმა (VIII, X), ნიჩბოსნებმა (აკადემიური, IX, XI), ნიჩბოსნებმა (ბაიდარა და კანოე, X, XV), ჭაბუკმა ძიუდოისტებმა (I, II), მძლეოსნებმა (VII, XIII), აფროსნებმა (IX, X), მშვილდოსნებმა (III, VIII), სასტენდო სროლის წარმომადგენლებმა (VIII, XII), ჩოგბურთელებმა (საერთო გუნდური I ადგილის შემდეგ ამჟამად ჭაბუკებმა დაიკავეს V, გოგონებმა VIII ადგილი), ძალოსნებმა (IX, XII), ჭადრაკი (ჭაბუკები, III, VII).

სპორტის სამ სახეობაში — ძიუდო (გოგონები), ცხენოსნობა და ბალახის ჰოკეი (გოგონები) ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებში ჩვენი სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. II თამაშებში მათ შესაბამისად დაიკავეს XXII-XXIII, XI და XIV ადგილები).

**თამაშებში** მონაწილე კოლექტივებიდან მხოლოდ ორმა რესპუბლიკამ რსფსრ-მ და საქართველომ გააუმჯობესა შედეგები I თამაშებთან შედარებით.

**ახლანდელი** თამაშები გამოირჩეოდა სიახლეებით. ძირითადი ნაკრები გუნდების გარდა რესპუბლიკებიდან, ადრე მოპოვებული შედეგების გათვალისწინებით, გამოდიოდნენ დამატებითი გუნდები. მაგალითად, რსფსრ მონაწილეობდა 69 დამატებითი გუნდით 25 სახეობაში და მოიპოვა 68 მედალი, უკრაინამ იმდენივე სახეობაში 36 გუნდით მიიღო 11 მედალი, მოსკოვმა სამი გუნდით სამ სახეობაში 1 მედალი, საქართველომ ხუთი გუნდით ხუთ სახეობაში 8 მედალი, ყაზახეთმა და ესტონეთმა თითო სახეობაში 2-2 მედალი.

ჭაბუკთა II თამაშების შედეგებს დაემატება ახალგაზრდული თამაშებისა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შედეგები. სპორტის ცალკეულ სახეობებში დაკავებული ადგილი საბოლოოდ გამოვლინდება ამ სამი კომპლექსური ასპარეზობის შედეგებით.

**საქართველოს** წარგზავნილებმა ჭაბუკთა II სპორტულ საკავშირო თამაშებში მოიპოვეს 61 მედალი. აქედან ოქროსი — 19, ვერცხლისა — 23, ბრინჯაოსი — 19. წინა თამაშებთან შედარებით მიღებულია 6 მედლით მეტი.

**რესპუბლიკის** ნაკრები გუნდების უკეთ მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის, გორის, მახარაძის, ლაგოდეხის, ბორჯომის, ხობის, ქარელის, ვანის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირული ქალაქ ზორის ძნელაძის კოლექტივმა.

**მიუხედავად** ყოველმხრივი ხელშეწყობისა, რამდენიმე ნაკრებ გუნდში თავი იჩინა ნაკლოვანებებმა, დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები სასწავლო-სპორტულ პროცესში, ვერ შესრულდა დასახული პროგრამა. I თამაშებთან შედარებით, ნაცვლად გუნდური სამი პირველი ადგილისა, ამჯერად მოპოვებულია მხოლოდ 1 პირველი ადგილი. იყო უდისციპლინობის ფაქტიც, როცა თამაშებში წყალბურთელთა ფინალური მატჩის შემდეგ ჩხუბი ატყდა ჩვენი გუნდის წევრებს შორის, რაზედაც „ლელო" უკვე წერდა.

**თამაშებში** მძლეოსნობაში სულ გათამაშდა 123 მედალი, აქედან საქართველოს წარგზავნილებს წილად ხვდათ მხოლოდ 3 (1,62 პროცენტი), ცურვაში გათამაშდა 102 მედალი, ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს მხოლოდ 2 (1,96 პროცენტი), სპორტულ ტანვარჯიშში კი 81 მედლიდან ჩვენს წილად მოდის 2 (2,46 პროცენტი), ტყვიის სროლაში 39-დან 1 (2,56 პროცენტი), აკადემიურ ნიჩბოსნობაში 42-დან — არც ერთი.

მაგალითისთვის ვიტყვით, რომ მძლეოსნობაში რესპუბლიკაში მუშაობს 441 მწვრთნელი, მათგან 256 შეთავსებითაა. მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მომზადებაზე დაიხარჯა 115 ათას მანეთზე მეტი.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი. ადგილობრივმა „დინამოს" უმასპინძლა კიეველ თანაკლუბელებს.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 3:1.

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ყიზილაშვილმა, გ. ჯიშკარიანმა (11-მეტრიანით) და ქეცბაიამ. მასპინძლებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჭანტურია, კვიტატიანი (ჩუბინიძე), ცვეიბა, წაჭავარიანი, თევზაძე, ხუროძე (ქეცბაია), გ. ჯიშკარიანი, ყიზილაშვილი, მ. ჯიშკარიანი (პეტრიაშვილი), გურული, ყაველაშვილი, (ჯამარაული).

### ევროპული ტურნირები

**გუშინ** დაიწყო 1988-89 წლების ევროპის საკლუბო ტურნირები, შედგა ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის I ტურის მატჩები.

გთავაზობთ ორი მატჩის შედეგს უეფა-ს თასზე: „თრაკია" (ბულგარეთი) — „დინამო" (მინსკი) 1:2. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ბორდო" (საფრანგეთი) 1:1.

დანარჩენი შეხვედრები გვიან ღამით დამთავრდა.

### II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „კოლხეთი" (ფოთი) — „ოლიმპია" (ლენინაკანი) 3:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:0, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „სპარტაკი" (ტაშბოვი) 1:0, „ლუჩი" (აზოვი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:0, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:1, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „ისკრა" (ერევანი) 3:0.



### პირველობა მინიფეხბურთში

10 სექტემბერს თბილისში „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსში სტარტი მიეცემა თბილისელთათვის უკვე ტრადიციად ქცეულ ქალაქის პირველობას მინიფეხბურთში.

ქალაქის წლევანდელი ჩემპიონატი მეოთხედ გაიმართება. 24 გუნდი დაყოფილია ექვს ქვეჯგუფად. **I ქვეჯგუფი:** „საბურთალო"-1, „ნაძალადევი", „ვერა"-2, „მუხიანი". **II ქვეჯგუფი:** „დიდუბე", „საბურთალო"-2, „მთაწმინდა", „ვარკეთილი". **III ქვეჯგუფი:** „პლეხანოვი", „ვაკე", „გლდანი", „ორხევი". **IV ქვეჯგუფი:** „ოქროსუბანი", „დიღომი", „კუს ტბა", „სანზონა", **V ქვეჯგუფი:** „ვერა"-1, „საბურთალო"-3, დიმიტროვის დასახლება, „ორთაჭალა", **VI ქვეჯგუფი:** ვაჟა-ფშაველას გამზირი, „თემქა", „ისანი" და ქალაქის ვეტერანთა გუნდი.

შაბათს „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსში დილის 10 საათზე გაიმართება ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „საბურთალო"-1 — „ვერა"-2, „პლეხანოვი" — „გლდანი", „ოქროსუბანი" — „კუს ტბა", „ვერა"-1 — „დიმიტროვის დასახლება", ვაჟა-ფშაველას გამზირი— „ისანი".

11 სექტემბერს მატჩები 2 საათზე დაიწყება. თამაშები გაიმართება ყოველ შაბათ-კვირას, ფინალური შეხვედრები დანიშნულია თბილისობის დღესასწაულზე.

ბილეთები გაიყიდება „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსის სალაროებში.

## ავტომოდელისტთა წარმატება

**ჩვენი** რესპუბლიკის ავტომოდელისტთა წარმატებები, უკვე საკმაო ხანია, ერთგვარ კანონზომიერებად იქცა. ნებისმიერი რანგის ასპარეზობაზე გუნდი ფავორიტის როლში გამოდის და ერთ-ერთი საპრიზო ადგილი მის კუთვნილებად ითვლება. ასე იყო ამჯერადაც, საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩემპიონატზე რადიოსამართავ მოდელებში, რომელიც რიგაში გაიმართა. გუნდის ხელმძღვანელებს პირველი ადგილი ჰქონდათ დაგეგმილი და სპორტსმენებმა, ისევე როგორც ბოლო სამი წლის განმავლობაში, საუცხოოდ იასპარეზეს — მათ გუნდური პირველი ადგილი, ხოლო პირად ჩათვლაში ხუთი მედალი მოიპოვეს.

ჩემპიონატში 16 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიც უკრაინა, ლიტვა, ესტონეთი, რუსეთის ფედერაციაა, მაგრამ ასეთი კონკურენციის პირობებშიც კი საქართველოს ავტომოდელისტებმა შეძლეს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება.

გუნდის შემადგენლობაში, რომელსაც 1973 წლიდან სათავეში უდგას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ლატარია, საკავშირო ნაკრების სამი წევრი იყო: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი პაატა შარიპაშვილი, სპორტის ოსტატები ვალერი წიქარიძე და ანდრო გალუსტიანი. მათ გარდა რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ სპორტის ოსტატები ბორის შუმანი და ოლეგ სტარინინი.

რადიომოდელისტთა ასპარეზობა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი იყო. მეორე ეტაპზე საკორდო მოდელებით მოასპარეზე მრბოლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს (გუნდის მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ ზურაბიშვილი). აქ საქართველოს ნაკრებმა გუნდური მეოთხე ადგილი მოიპოვა და ორი ეტაპის ჯამში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდური მესამე ადგილი დაისაკუთრა.

**ტექნიკური შედეგები:**

**საერთო გუნდური:** 1. უკრაინა— 2561 ქულა; 2. რსფსრ — 2538; 3. საქართველო — 2408.

**რადიოსამართავი მოდელები.**

**გუნდური:** 1. საქართველო — 1538 ქულა; 2. უკრაინა — 1525; 3. ლიტვა — 752.

**პირადი:** რცა კლასი — 1 ადგილი. იგორ სტარინინი; რცბ კლასი — ...4. ანდრო გალუსტიანი; რცე კლასი — ...3. ბორის შუმანი; 4. ანდრო გალუსტიანი; ფ-1 კლასი — ...2. ვალერი წიქარიძე; ფ-2 კლასი — 1. ბორის შუმანი; 2. პაატა შარიპაშვილი.

**საკორდო მოდელები:**

ე-1 კლასი — ზურაბ ზურაბიშვილი — გუნდური III ადგილი; პირადი IV ადგილი.

ე-2 კლასი — სურენ ჩილიჯანი — გუნდური VIII; პირადი XI;

ე-3 კლასი — დავით კობახიძე — გუნდური IV; პირადი VI;

ე-4 კლასი — ლავრენტი სვანიძე — გუნდური V; პირადი V;

კ-1 კლასი — ლევან პოლოსიანი — გუნდური IV; პირადი IV;

კ-2 კლასი — კაზარიკ ჩილიჯანი — გუნდური V, პირადი V;

ახლა ჩვენი რესპუბლიკის საქართველოს [illegible] ბი საბჭოთა კავშირის ზამთრის პირველობისთვის ემზადებიან, რომელიც ვილნიუსში, დახურულ მანეჟში გაიმართება. ზამთრის საკავშირო პირველობა პირველად შარშან მოეწყო და ქვეყნის პირველი ჩემპიონი საქართველოს ნაკრები იყო.

**10 სექტემბერს კი, ავტოსამოდელო სპორტის მოყვარულებს ძალზე საინტერესო სანახაობაელით. რიყის ტერიტორიაზე, 10 საათსა და 30 წუთზე, საზეიმოდ გაიხსნება ჩვენი გაზეთის მიერ დაწესებული პრიზის პირველი საკავშირო გათამაშება ავტოსამოდელო სპორტში. „ლელოს" პრიზი ამიერიდან ტრადიციული გახდება და ღირსეულ ადგილს დაიკავებს საკავშირო ოფიციალურ კალენდარში. შეჯიბრების პროგრამაშია როგორც რადიოსამართავი, ასევე საკორდო მოდელების ასპარეზობები.**

**მაშ ასე, ავტოსამოდელო სპორტის მოყვარულებს 10 და 11 სექტემბერს გიწვევთ რიყეზე.**

**გიორგი ქორქია.**

## ფეხბურთის კლუბის ახალმოსახლეობა

შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბს „დინამოს" ცენტრალურმა საბჭომ და სტადიონის დირექციამ. კლუბს ამ დღეებში გადაეცა ფართო, ნათელი სამუშაო ოთახი სტადიონის პრესცენტრის გვერდით, დასავლეთ ტრიბუნის პირველ იარუსზე.

„დინამოს" სტადიონის დირექცია ადრეც არ აკლებდა კლუბს ყურადღებას, მაგრამ საკუთარი ჭერის უქონლობა ხელს უშლიდა კლუბის პრეზიდიუმს მუშაობაში. ახლა კლუბში დაწესებულია მორიგეობა, დადგენილია სამუშაო საათები — ხუთშაბათს 18 საათსა და 30 წუთიდან 20 საათამდე, შაბათ-კვირას კი 11-დან 15 საათამდე. 10 სექტემბრიდან განახლდება მსურველების მიღება გულშემატკივართა კლუბში. შეგახსენებთ, რომ საამისოდ საჭიროა 2 ფოტოსურათი (3X4 სმ) და საწევრო გადასახადი დადგენილი წესის მიხედვით.

ჩვენი მისამართია. თბილისი, 380013, აკ. წერეთლის გამზირი № 2, „დინამოს" სტადიონი, გულშემატკივართა კლუბი, ტელეფონი 35-06-82.

ბევრი საინტერესო გაკეთდა კლუბში: დაიწყო სპორტული ლიტერატურის შეგროვება ბიბლიოთეკისთვის, გამოვიწერეთ საბჭოთა და საზღვარგარეთული ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის დასავლეთგერმანული „კიკერი" და ინგლისური „უორლდ სოკერი". გამოსაცემად მზადდება საბჭოთა და მსოფლიო ჩემპიონატების ორიგინალური ჯიბის ცნობარი, გადავწყვიტეთ საფეხბურთო კომპიუტერის შექმნა, დაგეგმილი გვაქვს ვიდეოაპარატურის შეძენა. გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტის (თავმჯდომარე რ. ღლონტი) დახმარებით მოკლე ხანში გამოვა 1989 წლის პლაკატი-კალენდარი, ვვარაუდობთ სეზონის ბოლოს თბილისში ჩავატაროთ გულშემატკივართა კლუბების პირველი საკავშირო კონფერენცია, კლუბის მინიფეხბურთის გუნდი, თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელებთან და საქართველოს ტელევიზიის გუნდთან ერთად საპასუხო ვიზიტით მიპატიჟებული ვართ ქ. ტომსკში. ფეხბურთის მოყვარულმა მხატვარმა ე. ბურჯანაძემ შექმნა კლუბის ოფიციალური ემბლემა.

ცალკე სამუშაო ოთახის გამოყოფა და კლუბის წევრთა ენთუზიაზმი იმის გარანტიას გვაძლევს, რომ მომავალში მუშაობა უფრო საინტერესოდ და საქმიანად წარიმართოს.

და, ბოლოს, კიდევ ერთი ცნობა: შეიცვალა კლუბის ანგარიშის ნომერი ბანკში: თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა კლუბის ფულადი სახსრები ინახება ქ. თბილისის მრეწვმშენბანკის პირველი მაისის განყოფილებაში: მისამართი: ქ. თბილისი, 380013, ჩელუსკინელების ქ. № 15, ანგარიშის ნომერი 000700165.

**ვაჟა ქუნთელია,**
**კლუბის პროპაგანდის სექციის ხელმძღვანელი.**

### ახალი სპორტკომპლექსი ფხენიანში

**ფხენიანი.** 7 სექტემბერი. (საკდესი). აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი სპორტული ქალაქი, რომლის კომპლექსში შედის ჩოგბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის, მძლეოსნობის, ფრენბურთის, კრივისა და ძიუდოს სპორტული დარბაზები, აგრეთვე საცურაო აუზი.

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 8 **სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** ევროპის ფეხბურთელთა საკლუბო ტურნირებზე — **9.35 (1);** ჯანმრთელი რომ იყო — **19.15 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2).**

**9 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „დინამო" (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი) — **19.25 (2).**

**საქართველოს ტელევიზია.** 8 **სექტემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) — **20.00.**

**საქართველოს რადიო.** 8 **სექტემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) — **21.00** (მეორე ტაიმი).

### „ლელოს" მკითხველებს!

**რესპუბლიკურ პრესაში უკვე გამოქვეყნდა საქინფორმის კორესპონდენტის ინტერვიუ საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველოს უფროსთან გიორგი თავამაიშვილთან.**

**ერთგან პასუხში ვკითხულობთ: „...რესპუბლიკის მოსახლეობას შეუზღუდავად შეუძლია გამოიწეროს ადგილობრივი გამოცემები. ჯერჯერობით არ შეგვიჯამებია შედეგები. 1989 წლისათვის ინდივიდუალური ხელმოწერა ხომ 31 ოქტომბერს დამთავრდება, მაგრამ, უკვე არსებული მონაცემებით, შესაძლოა, ლიმიტები დავუწესოთ გაზეთებს „ლიტერატურულ საქართველოს", „ახალგაზრდა კომუნისტს" და „ლელოს". ეს ღონისძიება ძირითადად აგრეთვე დაკავშირებული იქნება ქაღალდის ნაკლებობასთან. უნდა ითქვას, რომ ეს არც ისეთ მტკივნეულ გავლენას მოახდენს მოსახლეობის მოთხოვნილებაზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელ წელთან შედარებით ამ გამოცემებზე ხელმოწერა მნიშვნელოვნად გაიზარდა".**

**ახე რომ იჩქარეთ, დროულად გააფორმეთ ხელმოწერა „ლელოზე".**

## საბატინი თუ სავჩენკო?

**ნიუ-იორკი.** ამერიკის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის საპრემიო ფონდი 20 წლის წინ 100 ათას დოლარს შეადგენდა, ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვებული კი ჯილდოდ 14 ათას დოლარს იღებდა. მიმდინარე ჩემპიონატის ფონდი 4,4 მილიონ დოლარამდეა გაზრდილი, გამარჯვებულნი კი (ცალკე ვაჟებში, და ცალკე ქალებში) 275-275 ათას დოლარს მიიღებენ. აი, კიდევ ერთი მიზეზი იმისა თუ რატომ სარგებლობს ასეთი პოპულარობით ეს ტურნირი და რატომ იბრძვიან მასში ასე თავგამოდებით ახალგაზრდა ჩოგბურთელები.

წლევანდელ შეჯიბრებაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ახალგაზრდა ავსტრალიელები, ერთ-ერთმა მათგანმა ჯ. ფრომულმ ტურნირიდან გამოთიშა ფრანგი ა. ლეკონტი, მეორემ — იასონ სტოლტენბერგმა კი ლეკონტის თანამემამულე ი. ნოა.

ტურნირს აღარ აგრძელებს ჩეხი მეჩირჟიც. მას აჯობა ესპანელმა ემილიო სანჩესმა — 6:3, 3:6, 7:6, 6:1.

საბჭოთა ჩოგბურთელ ქალთაგან წინ მიიწევს მხოლოდ ლარისა სავჩენკო, მესამე წრეში გამარჯვების შემდეგ (ამერიკელ ტერი ფელპსთან — 6:3 6:1) იგი მეოთხედფინალში გავიდა და ახლა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს არგენტინელ გაბრიელა საბატინის შეხვდება.

მეოთხე ტურის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლდათ უიმბლდონის წლევანდელი ჩემპიონის შვედ სტეფან ედბერგის მარცხი ამერიკელ ა. კრიკშტეინთან, რომელსაც მსოფლიო ჩოგბურთის რეიტინგით მე-20 ადგილი უჭირავს. მარათონული ბრძოლა, რომელიც 3 საათსა და 52 წუთს გრძელდებოდა ძლიერი ქარის თანხლებით ამერიკელმა ჩოგბურთელმა მოიგო ანგარიშით 3:2 (5:7, 7:6, 7:6, 4:6, 7:5).

16 წლის მ. ჩანგმა (იგი ა. აგასისთან ერთად ამერიკული ჩოგბურთის მთავარ იმედს წარმოადგენს) დაამარცხა გამოცდილი თანამემამულე ტ. უილკისონი და მეოთხე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. ფავორიტთაგან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მ. ვილანდერმა (შვეცია). მან სამ პარტიაში აჯობა ავსტრალიელ მ. ბუდფორდს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე**

### „დინამო" იწვევს ნორჩებს

სექტემბრის 11, 18 და 25 რიცხვებში, კვირა დღეებში, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე (ა. წერეთლის პროსპექტი № 2) სპორტსაზოგადოება „დინამოს" საბავშვო-მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა აწარმოებს 1978-79-80-81 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას სკოლაში ჩასარიცხავად. მიღებას ხელმძღვანელობენ გამოცდილი აღმზრდელი-მწვრთნელები.

**სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო.**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ჟურნალისტი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი**

**ვლადიმერ ვარლამის ძე მდივანი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-56,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05537

ეროვნული ბიბლიოთეკა